

განმარტებითი ბარათი

საპროექტო ტერიტორიის მისამართია ქ. თბილისი მარშალ გელოვანის #6 და მოიცავს სახელმწიფო მფლობელობაში არსებულ ხუთ საკადასტრო ერთეულს. მთლიანობაში ამ ტერიტორიაზე განთავსებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მის დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციების ადმინისტრაციული შენობები.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს, თბილისის ჩრდილო დასავლეთ მხარეს, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე და განეკუთვნება III გ სამშენებლო კლიმატურ რაიონს სადაც, იანვრის საშუალო ტემპერატურაა 0-დან +2 °C-მდე მერყეობს, ხოლო ივლისის +25-დან +28 °C-მდე.

ამჟამად ტერიტორიაზე ძირითადი სატრანსპორტო და საფეხმავლო შესასვლელი არის აღმოსავლეთით მდებარე მარშალ გელოვანის გამზირი. მეორე არაოფიციალური შესასვლელია, სამხრეთ დასავლეთით მდებარე ვაშლიჯვრის დასახლებიდან (იასამნის ქუჩა) შემომავალი გრუნტის გზა. გელოვანის გამზირიდან აბსოლიტური ნიშნულის მაჩვენებელია 423.26. ხოლო იასამნის ქუჩის მხრიდან 437.53. ნიშნულებს შორის სხვაობა გამოდის 14.27მ.

არსებული სიტუაციის უარყოფითი და დადებითი მხარეები.

უარყოფითი: კეთილმოწყობის თვალსაზრისით, ტერიტორია არათანაბრად არის განვითარებული, როგორც ჩანს თავის დროზე აქცენტი გაკეთდა სამინისტროს ცენტრალური აპარატის შენობის გარშემო და მიმდებარედ, ტერიტორიის კეთილმოწყობა ხდებოდა ფრაგმენტულად და არა კომპლექსურად, რაც ტერიტორიაზე არსებულ სატრანსპორტო თუ საფეხმავლო უწყესრიგობას ვერ აგვარებს, ამას ემატება ისიც რომ, პარკირების ადგილები ფაქტიურად არარის განსაზღვრული, შიდა სატრანსპორტო გზების დაახლოებით 50% მოუწყესრიგებელია (არარის მოასფალტებული). სანიაღვრე სისტემა არარსებობს, თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ გელოვანის გამზირზე საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ გადის ცენტრალური სანიაღვრე კოლექტორი. იასამნის ქუჩის მხრიდან შემომავალი გაზის მილი არის მიწის ზემოთ, რაც გარკვეულწილად პრობლემატურია. პრობლემას წარმოადგენს ქალაქის წყალმომარაგების ცენტრალური მაგისტრალის ჭები რომელიც, მოსაწყესრიგებელია რადგან ერთერთი წყლით არის სავსე.

დადებითი: ტერიტორიის გამწვანება მრავალფეროვანია. ნარგავებს შორის არის, ფოთლოვანი ხეები, ნაძვი და კიპარისები. ავტოსადგომების მოსაწყობად

ადგილი საკმარისია. რელიეფის და არსებული გზების ვერტიკალური ნიშნულები იძლევა იმის საშუალებას რომ, წყლის გადაყვანის საკითხი

წარმატებით მოგვარდეს. ტერიტორიაზე არის უფუნქციოდ დარჩენილი სპორტული მოედანი, ასფალტის საფარით რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას ავტოსადგომად.

არქიტექტურული გადაწყვეტის ძირითადი იდეა.

როგორც მოგეხსენებათ ტერიტორიაზე განთავსებულია, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ადმინისტრაციული შენობების ჯგუფი. ფუნქციიდან გამომდინარე ტერიტორიის კეთლმოწყობა გადაწყდა კონსერვატიულ სტილში. გადავწყვიტეთ ტერიტორიაზე გაეგლო შიდა მოხმარების სატრანსპორტო გზას რომელიც, საჭიროების შემთხვევაში პირდაპირ დააკავშირებს მარშალ გელოვანის გამზირს და იასამნის ქუჩას, ამ იდეის მატარებელი გრუნტის გზა ახლაც არსებობს, თუმცა იგი ახლანდელი მდებარეობით ხელს უშლის ნორმალურ ფუნქციონირებაში შ.პ.ს ,, საქ. გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიის,, შენობას.

ეს გზა წარმოადგენს წარმოსახვით ღერძს, რომლის განშტოებებზე განლაგდება ავტოსადგომები კონკრეტული ადმინისტრაციული შენობისათვის და სამინისტროს ვიზიტორებისათვის. აღნიშნული გზა მოეწყობა ასფალტით, მასზე წყლის გადაყვანა მოხდება, ნაწილობრივ ზედაპირულად ბეტონის კიუვეტების საშუალებით, რომელიც რამდენიმე ადგილზე მიუერთდება ძირითად სანიაღვრე სისტემას. ჩვენ გადავწყვიტეთ ტერიტორიაზე არსებული ყველა გრუნტის თუ ასფალტის სამანქანო გზის მდებარეობა შევინარჩუნოთ, რადგან გრუნტის გზა ჩამოყალიბდა წლების განმავლობაში მანქანების ოპტიმალური მოძრაობის ხარჯზე. მოხდება ამ გზების საფარის განახლება ან მთლიანი რეაბილიტაცია. თითოეული შენობის პირობითი ეზოები იქნება ჩაკეტილი შლაგბაუმით და მოიკირწყლება ბრუჩატკით. ამავე ტიპის განსხვავებული ფერის ქვით მოხდება ავტომანქანის სადგომების გამოყოფა ძირითადი სავალი ნაწილისაგან.

სამინისტროს ცენტრალური აპარატის შენობის წინ მოხდა გამწვანების კუნძულების კონფიგურაციის შეცვლა რათა, მომხდარიყო ავტოსადგომის და შესასვლელთან მისასვლელი გზის პირობით იზოლირება, რომელიც განკუთვნილია ცენტრალური აპარატის თანამშრომლებისათვის. განახლდება

ამავე სივრცეში არსებული სარეკრიაციო სივრცე. ვიზიტორებისათვის და თანამშრომლებისათვის ავტოსადგომი განლაგდება სსიპ „ ღვინის ეროვნული სააგენტოს” შენობასთან და მის მოპირდაპირე მხარეს გამწვანებულ ზოლში, ისე რომ არ დაზიანდება არცერთი ნარგავი.

სსიპ „ ღვინის ეროვნული სააგენტოს” შენობასთან მისასვლელი გზა იქნება იასამნის ქუჩის მხრიდან მოხდება ტერიტორიის შლაგბაუმით იზოლირება ჩრდილოეთის მხრიდან, ეზო მოიკირწყლება ბრუჩატკით. ტერიტორიის მიმდებარედ ძველი აუზის რეკონსტრუქციის და რეაბილიტაციის შემდეგ შესაძლებელია შეიქმნას მცირე სარეკრიაციო სივრცე პერსონალისათვის.

იასამნის ქუჩის მხრიდან იქნება მისასვლელი გზა სსიპ „ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო,-ს და შ.პ.ს. „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანია,-ს ორივე დაწესებულებას ექნება იზოლირებული ავტოსადგომები.

არსებულ სპორტულ მოედანზე მოეწყობა ავტოსადგომი ვიზიტორებისათვის დაახლოებით 50 მოსარგებლეზე.

მთელ ტერიტორიაზე გათვალისწინებულია სამი მცირე სარეკრიაციო სივრცის მოწყობა.